KA030197777214614

№ 01-16848 **08** / ოქტომბერი / **2014** წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა
და რეჟიმის დეპარტამენტის უფროსის
ზურაბ უტიაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის განცხადების თანახმად, ებოლას მიმდინარე ეპიდაფეთქება, რომელიც დაიწყო 2013 წლის დეკემბერში, არის ებოლას ყველაზე დიდი მასშტაბის ეპიდაფეთქება კაცობრიობის ისტორიაში და წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განსაკუთრებულ მდგომარეობას (PHEIC). ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია მოუწოდებს ყველა ქვეყანას მზად იყვნენ ებოლას შემთხვევების გამოვლენის, მათი კვლევისა და ვირუსის მართვის კუთხით.

საქართველოში დაავადების შემოტანის რისკის მომცველია დასენიანებული ან მისი მოსაზღვრე ქვეყნიდან ჩამოსული პირები (როგორც ქართველი, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქე). გამომდინარე იქიდან, რომ არსებობს ებოლას ვირუსის დაავადების (EVD) საერთაშორისო გავრცელების რისკი, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დროულად განხორციელებულ მზადყოფნის და რეაგირების ღონიძიებებს, რომელიც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ითვალისწინებს ებოლას დადასტურებული შემთხვევების იზოლაციას და პაციენტების მკურნალობას ებოლას სამკურნალო ცენტრში.

როგორც მოგეხსენებათ, „ებოლას ვირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 ოქტომბრის №1807 ბრძანების თანახმად, სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“ განისაზღვრა ებოლას შემთხვევების პრიორიტეტული მიღების დაწესებულებად, რომელსაც ამ ეტაპისთვის უკვე გადაეცა 50 კომპლექტი პირადი დაცვის აღჭურვილობა. ზემოაღნიშნულის გარდა, დაავადების გავრცელების შეზღუდვის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დამატებით განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ აღჭურვის მიზნით, შესყიდულ იქნეს სამედიცინო აღჭურვილობა, რომელიც ებოლას გამოვლენის შემთხვევაში, შესაძლებელს გახდის დადასტურებული შემთხვევების იზოლაციას და პაციენტის და სამედიცინო პერსონალის დაცვას, კერძოდ:

   1.1. სამედიცინო იზოლატორი/პალატა - 1 ერთეული.

   1.2. გადასატანი სამედიცინო იზოლატორი/საკაცე - 2 ერთეული.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს ზემოაღნიშნული სამედიცინო აღჭურვილობის შესყიდვისთვის საჭირო პროცედურების განხორციელება

პატივისცემით,

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და
რეჟიმის დეპარტამენტის უფროსი

ზურაბ უტიაშვილი